ბრძანება:**ბ34.342224813**

თარიღი:**05/09/2022**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №283 ბრძანების მე-4 დანართის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ) პროგრამული კოდების მიხედვით პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების განმახორციელებელი სამსახურები/ააიპ დანართი 2 -ის შესაბამისად.

2. დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს ბატონ ილია ციციშვილს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ ღონისძიებები, მათი მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

3. ბრძანებით დამტკიცებული დანართები N1 და N2 ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან 1(ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.N17).

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი